ს ს ი პ

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

SSVA 00034883

15/10/2025

ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურის დაფინანსების ოდენობის განსაზღვრის შესახებ

აღწშნულის გათვალისწინებითა და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 ივლისის №342 დადგენილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დებულების" მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა", ,,ი" და ,,რ" ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში მოქმედი სოციალური პროგრამის ფარგლებში, იმ ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების, რომლებიც სწავლობენ აკრედიტებულ ბაკალავრიატის უმაღლეს საგანმანათლებლო და სამედიცინო/სტომატოლოგიური პროგრამებზე, 2025-2026 წლების შემოდგომის სემესტრის სწავლის საფასურის დაფინანსების ოდენობა განისაზღვროს სტუდენტის მიმდინარე დავალიანების შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს 300 (სამასი) ლარისა.

2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

3. ამ ბრძანების გასაჩივრება დაინტერესებული მხარის მიერ შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, №6) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის
დირექტორი
გენერალ-მაიორი

კობა კობალაძე